

# საქართველოს ეროვნული მუზეუმის წლიური ანგარიში

22 მაისს 12:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით დორთქიფანიძე ტრადიციულად, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, წარმოგიდგინებთ ეროვნული მუზეუმის წლიურ ანგარიშს და სამომავლო გეგმების პრეზენტაციას. დამსწრე საზოგადოება გარდა 2014-2015 წლების მნიშვნელოვანი მოვლენებისა გაეცნობა უაკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგებს. პრეზენტაციას დაესწრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე.